ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 31

გამარტივებული შესყიდვა

ქ. ქუთაისი „5" „თებერვალი" 2015 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ, **შპს „პარკინგსერვისი"**(შემდგომში წოდებული „შემსყიდველად"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი სარიშვილის სახით და მეორეს მხრივ **შპს „რაპაკა"** (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის კახა გვეტაძეს სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, **ამავე კანონის მესამე მუხლის პირველი პუნქტის „ს'" ქვეპუნქტის საფუძველზე,** ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შპს „პარკინგსერვისი"-სათვის დანართი №1-ში მოცემული ორგანიზაციის ბეჭდისა და ფაქსიმილეს შესყიდვა

2.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

2.3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ჯეროვანი მიწოდება, წინამდებარე პირობების შესაბამისად;

2.3 კლასიფიკატორის კოდი - 30192153

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 70 (სამოცდაათი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე და ამ სფეროში არსებულ ნორმებთან შესაბამისობაზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ მიწოდებული საქონელი აღმოჩნდება უხარისხო/წუნდებული შემსყიდველი უფლებამოსილია წარუდგინოს მიმწოდებელს დასაბუთებული რეკლამაცია, რის შემდეგაც მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში უზრუნველყოს მითითებული საქონლის ახლით შეცვლა.

5. მიწოდების ვადა

5.1 საქონლის მიწოდება-მონტაჟი უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის განმავლობაში, 2016 წლის 7 თებერვლის ჩათვლით, მისამართზე: ქ. ქუთაისი, გუგუნავას #2.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიწოდებული საქონელი მიღებულად/ჩაბარებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილი პირების ხელმოწერის შემდეგ. ,,მიმწოდებელი" წარუდგენს ,,შემსყიდველს" მიწოდებული

საქონლის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს და სასაქონლო ზედნადები/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში).

6.2. შპს „პარკინგსერვისის" მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს დირექტორი ირაკლი სარიშვილი.

7. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები)

7.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო.

7.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებიდან (შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებიდან) 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1 არავითარი ცვლილებები ან გადახრა ხელშეკრულებაში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 – ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.2 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანდ და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს სხვა სუბიექტს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებები.

8.3 ხელშეკრულების შესრულების პროცესში რაიმე ხელის შემშლელი გარემოებების წარმოშობისას მხარეებმა ურთიერთობა უნდა მოაგვარონ წერილობითი შეტყობინების გზით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 ფორს – მაჟორული გარემოებების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0.1 % – ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებსი, საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

9.4 ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო.

მყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი.

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

9.5 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ამ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ მისი ვალდებულებების შეუსრუებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებათა მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების დადგომის და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 10 მარტის ჩათვლით.

17.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი „მიმწოდებელთან" და 1 (ერთი) პირი „შემსყიდველთან".

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

შპს „პარკინგსერვისი"

მის: ქ. ქუთაისი, გუგუნავას #2

ს/კოდი: 412711230

ს/ს „თიბისი ბანკი" ქუთაისის ფილიალი

ბანკის კოდი: TBCBGE22

ა/ა № GE67 TB79 0693 6080 1000 06

დირექტორი

ირაკლი სარიშვილი

მიმწოდებელი:

შპს „რაპაკა"

საიდენტიფიკაციო კოდი: 412704505

მის: ქ. ქუთაისი, წერეთლის და ჯიბლაძის 35/2

ს/ს "პროკრედიტ ბანკი"

ბ/კ: MIBGGE22

ა/ა: GE54 PC00 1360 0100 0459 00

დირექტორი

კახა გვეტაძე

RAPAKA

ფასების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	ორგანიზაციის ბეჭედი	1 ცალი	35	35
2	ფაქსიმილია	1 ცალი	35	35
	ჯ ა მ ი			70

შემსყიდველი:

შპს „პარკინგსერვისი"

დირექტორი

ირაკლი სარიშვილი

მიმწოდებელი:

შპს „რაპაკა"

დირექტორი

კახა გვეტაძე

KAPAKA
ბიზნესის ადმინისტრირების
შპს რაპაკა
412704505

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.ქუთაისი

5 თებერვალი 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერნი ერთის მხრივ შპს „რაპაკა" („მიმწოდებელი") და მეორეს მხრივ შპს „პარკინგსერვისი", წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი სარიშვილის სახით („შემსყიდველი) ვადგენთ აღნიშნულ აქტს მასზედ, რომ მიმწოდებელმა 2016 წლის 5 თებერვლის №31 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება შეასრულა, კერძოდ, შემსყიდველს მიაწოდა ორგანიზაციის ბეჭედი და ფაქსიმილია, საერთო ღირებულებით 70 (სამოცდაათი) ლარი.

აქტი სწორია რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით.

ჩავაბარე:

კახა გვეტაძე

RAPAKA
41270450 5

მივიღე:

ირაკლი სარიშვილი